

ვაზის სელექცია საქართველოში

ვაჟა კვალიაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო
kvaliva@gmail.com

უცხოელი და ქართველი მეცნიერების მიერ მრავალმხრივი და ხანგრძლივი კვლევით დადასტურებულია, რომ სამხრეთ კავკასია, კერძოდ, საქართველო, კულტურული ვაზის და მრავალი ხეხილოვანი მცენარის ფორმათა წარმოქმნის პირველადი და უძველესი კერაა მსოფლიოში.

ჩვენი წინაპარი 8 ათასი წლის წინათ დაუმეგობრდა ვაზს და მას შემდეგ, მისი მოშინაურებისა და გაკულტურების რთულ და ხანგრძლივ გზაზე, საქართველო ვაზისა და მევენახის უკეთესობილესი ურთიერთობის უძველეს ასპარეზს წარმოადგენს.

ვაზი პირველად ჩვენს მიწაზე დაირგო და ყურძნის ნაჟურით შეზარხოშებულმა და გახალისებულმა წინაპარმა მეურნემ მას პირველმა უწოდა სახელად **ღვინო!** - რომელიც მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში შეცვალა ჟამთა ცვლამ.

ათეულ საუკუნეთა განმავლობაში ვაზი იყო ქართველი მევენახის და მისი ოჯახის იმედი, ქვეყნის ძლიერების განმსაზღვრელი და ამიტომაც იყო ერის მტრებისგან ხშირად აჩეხილი და იავარქმნილი, მაგრამ, ყოველთვის, ფენიქსივით აღორძინებული და საიმედოდ წელგამართული.

ჩვენებულმა ვაზის ჯიშებმა ყველა დროს, ჭირსა თუ ღხინში, ყველგან უერთგულეს მშობელ ქვეყანას და მტკიცე საფუძველი შექმნეს შემდგომში, მევენახეობა-მეღვინეობის დიდი ტრადიციის მქონე, ეკონომიკურად მძლავრ და წარმატებულ აგრარულ დარგად ჩამოყალიბება-განვითარებისათვის.

საქართველოში 525-ზე მეტი აბორიგენული ვაზის ჯიშია გავრცელებული წარმოშობის პირველად ეთნიკურ-გეოგრაფიულ ცენტრებში. თითოეული მათგანი მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი მიწათმოქმედების კულტურის ისეთივე მნიშვნელობის ძეგლია, როგორც არის ქართველი ერის მაღალი სულიერი სიმდიდრისა და მატერიალური კულტურის მანკვებელი დიდებული სვეტიცხოველი, მცხეთის ჯვარი, ალავერდი და ნიკორწმინდა.

ცნობილი ჯიშებიდან 10 - ფართოდ და 5 - საკმაოდაა გავრცელებული.

შუა საუკუნეების ბოლოს და, განსაკუთრებით, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, 1950-1980-იან წლებში, მევენახეობა-მეღვინეობა (მეხილეობასთან ერთად) იყო ქვეყნის სიძლიერისა და ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგები. მათგან მიღებული შემოსავალი ქვეყნის ბიუჯეტის მესამედს აღემატებოდა.

1980-იანი წლების შუა პერიოდში, ე.წ. „პერესტროიკის“ დროს, საბჭოთა სივრცეში გატარებული ანტიალკოჰოლური პრაქტიკით, დიდი განსაცდელი დაუდგა მევენახეობასა და მეღვინეობას, შემდეგ კი, 1990-იან წლებში, საქართველოში განვითარებულმა უმართავმა პროცესებმა მოშალეს ქვეყნის ეკონომიკა.

განადგურდა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ვაზის სანერგე მეურნეობები, მოისპო ფილოქსერაგამძლე საძირეთა და უნიკალური ვაზის ჯიშების საცდელი ნაკვეთები, დაუჯერებელ დონემდე შემცირდა ყურძნის წარმოება და სამრეწველო გადამუშავება.

XX საუკუნის ბოლო პერიოდში ქვეყნის აგროსამრეწველო სექტორის რეაბილიტაცია მევენახეობა-მეღვინეობით დაიწყო: პირველად შეიქმნა დარგის მართვის სამართლებრივი ბაზა - „საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ“ (1998წ.); რეგიონების მიხედვით დარგის ტერიტორია 44 სამრეწველო ვაზის ჯიშში, მათგან საღვინე მიმართულების 37 და სასუფრე ყურძნის 7 ჯიშში.

პირველად საქართველოში 2008 წელს შეიქმნა ბიოლოგიურად ჯანსაღი, უვირუსო ვაზის ნერგის წარმოების ცენტრი.

ვაზის ხალხური სელექცია საქართველოში მრავალ ათასწლეულს ითვლის და მის მეშვეობით მიღებული 525-ზე მეტი ჯიში შემოინახა ქვეყანამ. აქედან 414 აღწერილია ამპელოგრაფიებში.

ფეოდალური კარნაქტილობის რღვევამ და კაპიტალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის ურთიერთობის, მათ შორის, მცენარეული კულტურების ჯიშების გაცვლის გაძლიერებას.

ცნობილია რომ, ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა ჰიბრიდიზაციის მეთოდებით ამერიკაში დაიწყო, სადაც, ვაზის ველური ფორმების მრავალფეროვნების მიუხედავად, არ იყო კულტურული ჯიშები. 1616 წლიდან *vitis vinifera*-ს სახეობის ჯიშების ამერიკაში გადატანის მრავალი მცდელობა, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, უშედეგო აღმოჩნდა იქ ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების მასობრივი გავრცელების გამო. ვერც თავისუფალი დამტკვერვის გზით მიღებული ჰიბრიდული ფორმების გამორჩევით მოხერხდა ახალი ჯიშების მიღება, რომელთა გამძლეობა მაღალი იყო, ხოლო პროდუქციის ხარისხი - დაბალი.

მოგვიანებით, სახეობათაშორის შეჯვარებების გზით ახალი ჯიშები მიიღეს ფრანგმა სელექციონერებმა (ბაკო, ზეიბელი, კუდერკი, სეიფ-ვილარი და სხვა). მიღებული ჯიშები ხასიათდებოდნენ ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების მიმართ შედარებითი გამძლეობით, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამოირჩეოდა პროდუქციის მაღალი ხარისხით.

მოგვიანებით გერმანიაში, იტალიაში, უნგრეთში, რუმინეთში, რუსეთში, უკრაინაში, შემდგომ საქართველოში, სომხეთში და შუა აზიის ქვეყნებშიც დაინტერესდნენ ამ საქმით და უამრავი ჰიბრიდული ჯიში (სახეობათაშორისი ჰიბრიდი) იქნა მიღებული, მაგრამ დღემდე არც ერთი არ არის, რომ მოსავლის ხარისხით *vitis vinifera*-ს სახეობის ჯიშებს უტოლდებოდეს და მავნებელ-დაავადებების მიმართ ამერიკული ვაზის სახეობების გამძლეობა ჰქონდეთ.

ამავე დროს, ქართველი (პროფ. ნიკო ალექსიძე) და უცხოელი მეცნიერების მიერ შემჩნეული იქნა ქართულ ვაზის ჯიშებში შედარებითი გამძლეობა ფილოქსერის და სოკოვანი დაავადებების მიმართ.

სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციით ვაზის სამრეწველო ჯიშების მიღება ვერ მოხერხდა, მაგრამ მისი მეშვეობით გადაწყდა ფილოქსერის პრობლემა და მსოფლიო მევენახეობა ჰიბრიდულ საძირებზე დამყნული ჯიშების გაშენებაზე გადავიდა, კარგი სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებების მქონე ახალი ჯიშების მიღება კი *vitis viniferas* სახეობის ჯიშთაშორის შეჯვარებების გზით გაგრძელდა. ამ მიმართულებით დიდი როლი შეასრულეს ქართულმა ჯიშებმა. რომლებიც ფართოდ იყო ჩართული საბჭოთა რესპუბლიკებში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი) აქტიურად მიმდინარე ვაზის სელექციაში და მათი მონაწილეობით 300-ზე მეტი ახალი ჯიში იქნა მიღებული და დარეგისტრირებული.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ს/კ დაწესებულებების (საქარის და ვაზისუბნის საცდელი სადგურები, მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო ს/კ ინსტიტუტი თელავში და სხვ.) დაარსების შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა როგორც აბორიგენული ჯიშების შეგროვებისა და შესწავლის, ისე ჰიბრიდიზაციის და კლონური სელექციის გზით მათ გასაუმჯობესებლად.

Vitis viniferas შიდასახეობრივი - ქართული და უცხოური ჯიშთაშორისი შეჯვარებები 1904-1960 წლებში ჩაატარა სელექციონერმა ვ.ბესტავაშვილმა, რის შედეგადაც მიღებული იქნა ჯიშები: **ბესტავაშვილის თეთრა**, **შალვასეული ქარვისფერი** (ჩინური x შასლა), **ხიდისთავის წითელი** და **წელისური შავი** [(თავაკვერი x საფერავი) x საფერავი], **ანა ბესტი** (განჯური x საფერავი), **წვრილმარცვალა** და **გორული თეთრი** (ჩინური x გორული მწვანე) და სხვა 50-ზე მეტი პერსპექტიული ჯიში და ჰ/ფორმა (რომლებიც აღწერა და წიგნში **-მინურინელი ვ.ბესტავაშვილი - 1950წ. წარმოადგინა პროფ. მ.რამიშვილმა**).

1940-იანი წლებიდან სელექციაში ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრა (ვ. ქანთარია, ნ. ჩახნაშვილი, მ. რამიშვილი და სხვ.).

ვ.ქანთარია და ნ.ჩახნაშვილმა რქაწითელთან x ალექსანდრიის მუსკატის შეჯვარებით გამოიყვანეს ჯიშები: *თბილისური* (სასუფრე) და *მუსკატური რქაწითელი*. მ. და რ. რამიშვილებმა ალექსანდრიის მუსკატთან x განჯურის შეჯვარებით მიიღეს და დაარეგისტრირეს ჯიშები: *ჩინებული*, *ვაშლაჯვარი*, *კოლხური* და *ვარძია*.

რ.კიკაჩიშვილმა ნიმრანგთან x ალექსანდრიის მუსკატის შეჯვარებით მიიღო ჯიში *საამო*. საინტერესო მუშაობას აწარმოებდა თელავში ვლოლადე და სხვ.

ვაზის ჰიბრიდიზაციაში დიდი შრომა გასწია მმსკი-ის ვაზის სელექცია-ჯიშთმცოდნეობის განყოფილების გამგემ, პროფესორმა დ. ტაბიძემ, რომელმაც თელავის ს/სადგურში და თბილისში – ვაშლაჯვარის ბაზაზე შეჯვარებები მრავალი კომბინაციით ჩაატარა და მიიღო ჯიშები: *ქართული საადრეო*, *მთის ვაზი* და სხვ.

ვბესტავაშვილმა, დ.ტაბიძემ და მ.რამიშვილმა მომდევნო თაობას ჰიბრიდული თესლნერგების მდიდარი ფონდი დაუტოვეს, რომელიც გახდა მრავალი ჯიშის გამოვლენის და შემდგომი წარმატებული სელექციური მუშაობის საფუძველი.

მაგრამ შემდგომი პერიოდის სუბიექტურმა ფაქტორებმა, განსაკუთრებით კი 1990-2000-იანი წლების ეკონომიკურ-პოლიტიკურმა კრიზისმა, სხვა მეცნიერულ წამოწყებებთან ერთად, გაანადგურა ჰიბრიდული ფონდი თბილისში, საქარაში, თელავში, გაღაგანში, სკრაში...; განადგურებას გადარჩენილი ვბესტავაშვილის 17 ჯიში და ფორმა, ს.ჯილაურაში, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ვაზის კოლექციაშია განთავსებული და ისწავლება.

1970-1975წ.წ. მმმ-ის ვაზის სელექცია-ჯიშთმცოდნეობის განყოფილებაში ვ.გოცირიძემ ჩაატარა კვლევები ქართული ვაზის ჯიშების უმთავრეს სოკოვან დაავადებათა მიმართ გამძლეობის დასადგენად, ვაზის კოლექციებში, სხვადასხვა პირობებში (დიდომში, ზესტაფონში და გუდაუთში). დადგინდა, რომ კოლხური ეკოლოგიურ-გეოგრაფიული კერის ჯიშები დაავადებათა მიმართ სხვადასხვა გამძლეობით ხასიათდებიან.

ფოთლისა და ნაყოფის დაზიანების ხარისხის აღრიცხვის შედეგად დადგინდა, რომ აბორიგენული ჯიშების ყველა ქვეკერაში (ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, აფხაზეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი) გამოირჩევა შედარებით გამძლე, საშუალოდ გამძლე და მიმდებიანი ჯიშები.

ჭრაქისა და *ნაცრისადმი* შედარებით გამძლე ჯიშების პროცენტი მეტია იმ რეგიონებში, სადაც მოსული ნალექების რაოდენობა დიდია. *კეთილშობილი სიღამპლის* მიმართ გამძლე ჯიშებია *კაჭიჭი*, *ჩხავერი*, *ოჯალეში*, *ჭვითილური* და სხვ. *ჭრაქის* მიმართ უფრო მიმდებიანი აღმოჩნდა *ჩხავერი*, *კახური მწვანე*, *ხიხვი* და სხვ.

დადგინდა, რომ შედარებით გამძლე ჯიშების მიღება ჰიბრიდიზაციით შესაძლებელია წარმოებდეს შედარებით გამძლე ქართული ვაზის ჯიშების ურთიერთშეჯვარებით, რის საფუძველზედაც მმმ-ში შეიქმნა იმუნოსელექციის ჯგუფი, რომელმაც 1990 წლამდე შეჯვარებები ჩაატარა 200-ზე მეტი კომბინაციით, როგორც ქართულ ჯიშთა ჯგუფებს შორის, ისე სხვადასხვა ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფებს შორის. მიღებული ათასობით თესლნერგის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე გამორჩეული თესლნერგებიდან მოსავლის რაოდენობისა და ხარისხის და დაავადებათა მიმართ გამძლეობის მიხედვით გამოყოფილი იქნა პერსპექტიული 177 ფორმა, რომლებიც გაშენდა თელავის საცდელ სადგურში, ინსტიტუტის ვაშლაჯვარას ბაზაზე, ოკამის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე და სკრის ს/სადგურში.

წინა მთავრობის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებით ინსტიტუტის გაუქმებამ და მისი ქონების კერძო პირებისათვის გადაცემამ, სამეცნიერო ბაღ-ვენახების და სელექციური ნარგაობების გაჩანაგების მსგავსად, მთლიანად მოსპო ჯგუფის მრავალწლიანი მუშაობის შედეგები. შესაძლებელი გახდა მხოლოდ 15 ახალი ჯიშის კანდიდატის გადარჩენა და განთავსება ჯილაურას კოლექციაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეცნიერული კვლევების (XIX საუკუნე) დაწყებიდანვე, სწავლულთა თაობებმა დიდი შრომა გასწიეს მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დასანერგად, რამაც დიდად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის აღორძინებას და მისი რენტაბელობის ზრდას.

საქართველოში გასულ საუკუნეში დიდი მუშაობა ჩატარდა აბორიგენული ვაზის ჯიშების შეგროვებისა და მათი სამეურნეო და სამეცნიერო გამოყენების

მიმართულებით. რეგიონების მიხედვით შეირჩა და დარაიონდა ვაზის საძირეები, რაც არის შედეგი იმ ღრმა მეცნიერული კვლევებისა, რომლებიც ჩაატარეს ვლ. სტაროსელსკიმ, ს.ჩოლოყაშვილმა, დ. ტაბიძემ, მ.რამიშვილმა, ვ.ქანთარია, ნ.ახვლედიანმა, ნ.ჩხარტიშვილმა, ა.მენაღარიშვილმა, რ. რამიშვილმა და სხვა მეცნიერებმა.

1957წ. საქართველოში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებით ორგანიზაციულად გაუმჯობესდა და გააქტიურდა მუშაობა აკადემიაში შემავალ მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტში და მისი სისტემის საცდელ სადგურებში, ექსპერიმენტულ მეურნეობებში, ბაზებსა და ს/პუნქტებში.

ინსტიტუტში აბორიგენული ჯიშების სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებების ფართო მასშტაბით შესწავლის შედეგად გამოირჩა საუკეთესოები და განისაზღვრა რეგიონების და ქვეყნის ვაზის ჯიშების სამრეწველო სორტიმენტი, რომელიც 34 ჯიშს, მ.შ. 27 ადგილობრივსა და 7 ინტროდუცირებულ ჯიშს აერთიანებს. ამათ გარდა სორტიმენტშია სასუფრე 13 ჯიშში, რომელთაგან ქართულია 8 (აბორიგენული 4 და სელექციური 4) ჯიშში და ინტროდუცირებული 5 ჯიშში; სულ სორტიმენტშია 47 ჯიშში.

ვაზის ქართული სელექციის საფუძვლის ჩამყრელების: ვ.ბესტავაშვილის, დ.ტაბიძის, მ.რამიშვილის, ვ.ქანთარიას, ნ.ჩხანაშვილის, ვ.ლოლაძის, ა.ამროტაძის გვერდით და მათი ხელმძღვანელობით ხანგრძლივად მუშაობდნენ მომდევნო თაობის სელექციონერები: რ.რამიშვილი, ა.გავაკეთაშვილი ნ.ცერცვაძე, ნ.ტოგონიძე, რ.კიკაჩიშვილი, ჩ.რობაქიძე, გ.კუტუბიძე, ლ.ვაშაკიძე, ც.ესაკია, ლ.სიხარულიძე, ვ.გოცირიძე, ვ.კვალიაშვილი და სხვ.

მრავალი კომბინაციის შიდასახეობრივი შეჯვარების შედეგად მიღებული პერსპექტიული თესლნერგების ფონდის 1990-2000-იან წლებში განადგურებით, სამწუხაროდ, წყალში ჩაიყარა სელექციონერთა მთელი თაობების ნამუშევარი.

2000-იან და შემდგომ წლებში მმმ-ის ვაზის სელექციის განყოფილებამ (დ.მადრაძე) მნიშვნელოვნად გააფართოვა ურთიერთობა მცენარეთა გენეტიკური რესურსების დაცვით დაკავებულ საერთაშორისო ინსტიტუტებთან. მათ შორისაა Bioversity internacional-ი (ყოფილი IPGRI) და მასთან პარტნიორულად მონაწილე ევროპის წამყვანი სამეცნიერო ინსტიტუტები: მილანის უნივერსიტეტი, გერმანიის მცენარეთა სელექციის ინსტიტუტი, რომის არქეობოტანიკის ლაბორატორია, ლუქსემბურგის გაბრიელ ლიპმანის სამეცნიერო ცენტრი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინსტიტუტები და მათთან თანამშრომლობით დიდი მუშაობა ჩაატარა ვაზის ადგილობრივი გენეტიკური რესურსების იდენტიფიკაციის, მობილიზაციის, კონსერვაციის და გამოყენების მიმართულებით.

განყოფილებაში დნმ-ის ლაბორატორიის ორგანიზებით დაიწყო ქართული ვაზის ჯიშების მოლეკულური მარკერებით გამოკვლევა; გაფართოვდა ვაზის ჯიშების ციტოგენეტიკური და ციტოგენეტიკური შესწავლა (ლ.ვაშაკიძე); მნიშვნელოვანი სამუშაო ტარდება ველური ვაზის ფორმების შეგროვება-შესწავლის კუთხით.

ვაზის სელექციაში ჩვენ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ შეიძლება მოკლედ ითქვას: სელექციონერ ვ.ბესტავაშვილის ხელმძღვანელობით და მასთან თანამშრომლობით (1948-1963) ჯიშთშორისი ჰიბრიდიზაციის მეთოდით ახალი ფორმების მიღების, მათგან პერსპექტიულების გამორჩევის, გამრავლების და საწარმოო გამოცდის, მათი საწარმოო მიმართულების განსაზღვრის და F₁ ჰიბრიდულ თაობაში საწყისი მშობელი ფორმების ბოტანიკური და სამეურნეო ნიშან-თვისებების მემკვიდრეულობის ხასიათის შესწავლის შედეგები სადისერტაციო ნაშრომად გაფორმდა (1969წ.). თანამშრომლობით მიღებული ჯიშები: სასუფრე *ბესტავაშვილის თეთრა*, საღვინე *გორული თეთრი* და სხვა ფორმები პერსპექტიული და კონკურენტუნარიანია აღმოსავლეთ საქართველოს პირობებისათვის. 1985-2010წ.წ. ჯიშთშორისი ჰიბრიდიზაციის მეთოდით მიღებულია საინტერესო და პერსპექტიული სასუფრე და საღვინე ახალი ჯიშები.

ძალიან დასანანია, რომ თელავის საცდელი სადგური, სადაც 1930-იან წლებში მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო ინსტიტუტი იყო და კვლევების წარმოების საუკეთესო ტრადიციები შეიქმნა, ისე გაიყიდა წინა მთავრობის მიერ, რომ დღემდე უცნობია ვინ გახდა მისი მფლობელი. შედეგი კი სახეზეა: საცდელი სადგურის

ტერიტორიაზე არსებული ქართული ვაზის ჯიშების, როგორც ძველი, ისე ახალი კოლექცია და ქართული სელექციური ჯიშების გენოფონდი განადგურდა.

ასევე განადგურდა მმმ-ის თბილისის ექსპ. ბაზაზე, საქარის საცდელი სადგურის და გაღავნის ექსპ. ბაზაზე აკად. ნ.ჩხარტიშვილის და სელექციონერების ნ.ცერცვაძის, ვ.გოცირიძის, დ.მაღრაძის დიდი რუდუნებით 2000-იან წლებში შექმნილი 300-ზე მეტი ქართული ვაზის ჯიშის კოლექციები.

ამჟამად ვაზის სელექცია საქართველოში თითქმის შეწყვეტილია, რაც ართულებს მზარდი გლობალური დათბობით მოსალოდნელ და დღეს გაუთვალისწინებელ კლიმატურ პირობებში ცალკეული ვაზის ჯიშების არამარტო გამოყენების, არამედ მთლიანად მევენახეობა-მეღვინეობის დარგის წარმოების მიმართულების განსაზღვრას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში, საქართველოს გარდა, არსად არ მოხდა მეცნიერების უგულვებელყოფა - ჩარეცხვა. სამეცნ./კვლევითი ინსტიტუტები განაგრძობენ მუშაობას ყველა ყოფილ რესპუბლიკაში.

აქვე უნდა ითქვას სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შესახებ:

დიდმა მამულიშვილმა ბიძინა ივანიშვილმა ს.ჯილაურაში ვაზისა და ხეხილის ახალი კოლექციისა და სანერგე მეურნეობის ჩამოყალიბებით გააკეთა უდიდესი პატრიოტული საქმე: – **დაღუპვისაგან გადაარჩინა და მომავალ თაობებს შემოუნახა ქართული ვაზისა და ხეხილის ჯიშები.**

ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება მოხდა მმმსკ ინსტიტუტის კადრებითა და ბაზების გამოყენებით და ბატონ ბიძინა ივანიშვილის უშურველი დაფინანსებით.

შედეგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და შეუფასებელი აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან იყო ჩაფიქრებული. საქმე იმაშია, რომ მ.სააკაშვილმა, ყველასთვის მოულოდნელად და შეუთანხმებლად, ერთი ხელის აქნევით ჩარეცხა საქართველოს მეცნიერება, რაც ადრე აზრადაც არავის მოუვიდოდა თავში. გაუქმდა ინსტიტუტები, გაიყიდა და განადგურდა მათი ქონება, ან გადაეცა მედროვეთა კასტას.

უპატრონოდ დარჩენილი ქართული ვაზისა და ხეხილის ჯიშების კოლექციები ისე განადგურდა, რომ ვერავინ უშველა. **იმ დროს ერთადერთი კოლექცია, რომელიც გადაურჩა ბოროტებას, აღმოჩნდა ბატონ ბიძინა ივანიშვილის მზრუნველობით სოფელ ჯილაურაში გაშენებული კოლექცია, სადაც ქართულმა გენოფონდმა საიმედო თავშესაფარი ჰპოვა, რასაც ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს.**

უნდა აღინიშნოს, რომ ერთი კოლექციის არსებობა საკმარისი არ არის, საერთაშორისო ნორმებით ჯიშის განთავსებული უნდა იყოს 3 კოლექციაში მაინც, რომ იგი საკმარის დაცულად ითვლებოდეს. ამიტომ სამეცნიერო ცენტრს ალბათ მოუწევს ამ საკითხზე მუშაობა, რათა ერთი კოლექცია გაშენდეს იმერეთში, მეორე კი – კახეთში.

ამას წინათ, ღვინის სააგენტოს შენობაში გაიხსნა ვაზისა და ღვინის მუზეუმი, სადაც გამოიფინა ყოფილ მეზაღვების, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტში არსებული ექსპონატები. ამით ერის სახელოვან წარსულთან დაკავშირებული დიდებული საქმე გაკეთდა. იქვე გაუღერდა რომ გადაწყვეტილია ახალი მუზეუმის აშენება. ამ განზრახვას სამეცნიერო საზოგადოება მიესალმება, მაგრამ ადგილის შერჩევაში უნდა მიიღოს მონაწილეობა ფართო საზოგადოებამ და სპეციალისტებმა (მეცნიერებმა, არქეოლოგმა-ისტორიკოსებმა), რადგან საკითხი ეხება ერის ისტორიულ ყოფა-ცხოვრებას, სრულიად ეროვნულს.

არსებობს ვერსია – მუზეუმი აშენდეს ს.ჯილაურაში, ვაზის კოლექციის გვერდით.

მიგვაჩნია, რომ საგურამო ან ჯილაურა არ არის მევენახეობა-მეღვინეობის ის რეგიონი, სადაც ასეთი ფართო ინტერესის დაწესებულება უნდა არსებობდეს.

ჩვენი აზრით მუზეუმი უნდა აშენდეს თბილისში, იქ სადაც მეზაღვ.-მევენახე.-მეღვინე.-ის ინსტიტუტის ექსპ. ბაზა იყო (ვაშლაჯვარი. - სოფ. მეურნ. სამინისტროს მოპირდაპირე მხარე). ამ ტერიტორიაზე (15ჰა) წინა ხელისუფლებას სურდა ბაზრობის მოწყობა, მაგრამ 10 წელია მიტოვებულია და არავინ იცის ვინ არის მისი მესაკუთრე, ან რაში გამოიყენებენ.

ეს ადგილი არა მარტო მუზეუმის შენობას, არამედ კავკასიური ვაზის ჯიშების კოლექციასაც (დაახლოებით 800 ერთეული) დაიტევს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანსა და მიმზიდველს გახდის ამ ობიექტს არა მარტო მეცნიერების,

მევენახე-მეღვინე სპეციალისტების, ფერმერებისა და მოყვარულთათვის, არამედ ტურისტებისთვისაც.

დაბოლოს, ქართული ვაზის გენოფონდის, ცალკეული ჯიშის მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით მუდმივად იზრდება როგორც სელექცია-ჯიშთაგაუმჯობესების, ისე საწარმოო დანიშნულებით მათი გამოყენების მხრივ, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ითხოვს **მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის აღდგენას!**

მასთან ერთად აუცილებელია ჯიშთაგამოცდის, მცენარეთა დაცვის და კარანტინის სამსახურების აღდგენა; სასელექციო მუშაობის განახლება, თანამედროვე ტიპის ახალი კოლექციების გაშენება და კვლევისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

სხვაგვარად წარმოუდგენელია ვაზისა და ღვინის სამშობლოს ხვალისდელი დღე!

UDC. 634.8

GRAPEVINE BREEDING IN GEORGIA

Vazha Kvaliashvili

Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia.

kvaliva@gmail.com

Summary

It is confirmed by the researchers, that Georgia is the preliminary and the oldest center for origin of diversity for domesticated grapevine in the World. Our ancestors - viticulturists originated and saved to us more than 500 grapevine varieties during 8000 year history of this crop here.

Since 1900 it was started the activities for originated of new grape varieties with usage of the method of interspecific hybridization within the species of *Vitis vinifera* L. in Georgia.

During the 1904-1960 the breeder V. Bestavashvili obtained new varieties named as **Bestavashvilis Tetra, Shalvaseuli Karvisperi, Khidistavis Tsiteli, Tesdisuri Shavi, Tsvrilmartsvala, Goruli Tetri** and other 50 varieties and prospective breeding forms as a result of crossing of Georgian and foreign varieties.

Since 1940s the new varieties **Tbilisuri, Muskaturi Rkatsiteli, Chinebuli, Kolkhuri** and **Vardzia** were bred by V. Kantaria, N. Chakhnashvili, M. Ramishvili and others in the Department of Viticulture at the Georgian Agricultural Institute.

D. Tabidze from the Institute of Horticulture, Viticulture and Oenology made various crossing and selected the varieties **Kartuli Saadreo, Mtis Vazi** and others.

By the Georgian (N. Aleksidze) and the foreign researchers it was distinguished comparatively resistance of Georgian local varieties against Phylloxera and the fungal diseases. In 1970-1975 V. Gotsiridze with the researchers of the Group of Immune Selection continued research on the resistance of Georgian grape varieties against fungal diseases and concluded, that in the each regions of Georgia there are some comparatively resistant varieties, and it is possible to obtain new relatively resistant varieties by their crossing.

Ample activities was done for collection of native grapevine genetic resources and for destination of their usage by V. Staroselskii, S. Cholokashvili, D. Tabidze, M. Ramishvili, V. Kantaria, N. Akhvlediani, N. Chkhartishvili, A. Menagharishvili, R. Ramishvili and other researchers in the last centuries.

In 1957 it was improved the work at the Institute of Horticulture, Viticulture and Oenology under supervising of the Academy of Agricultural Sciences of Georgia, which based on the agronomic and enological study of the Georgian local genetic resources has selected the best varieties and completed the list of recommended cultivars for the country.

In 2000s the Department of Grape and Fruit Germplasm Research, Genetics and Breeding at the Institute of Horticulture, Viticulture and Oenology (D. Maghradze) did ample works for identification, mobilization, conservation and usage of the local genetic resources of grapevine; Organization of the DNA lab lead basis for research of Georgian autochthonous varieties by molecular markers; It has activated the collection and research of wild grape.

Century – old grapevine breeding continues to work.